პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ კვირა 15 ოქტომბერი 1978 წ. □ № 243 (17287) □ ფასი 2 კაპ.

**512.000 ტონა ყურძნისათვის!**

## რითველი საქართველოში

„სამხრეთის“ ცნობებით 14 ოქტომბრისათვის (ტონობით)

| რაიონები | 1978 წლის ზუბლა | 13 ოქტომბრის მარაგი | სულ მოსავალი |
|---|---|---|---|
| გურჯაანის | 88000 | 417 | 112637 |
| თელავის | 61200 | 1384 | 70121 |
| ყვარლის | 38000 | 1035 | 46345 |
| სიღნაღის | 34000 | 171 | 41054 |
| ახმეტის | 30400 | 1297 | 33666 |
| წითელწყაროს | 25100 | 36 | 25581 |
| საგარეჯოს | 24100 | 297 | 19569 |
| მარნეულის | 19000 | 66 | 19068 |
| ბოლნისის | 11480 | 50 | 13150 |
| გარდაბნის | 10500 | 259 | 6330 |
| ლაგოდეხის | 8500 | 592 | 10060 |
| მცხეთის | 9050 | 622 | 4158 |
| ხაშურის | 5500 | 205 | 3250 |
| თეთრი წყაროს | 2100 | 184 | 1705 |
| საჩხერის | 5800 | 124 | 1289 |

□ *13 ოქტომბერს მოიკრიფა 7.515 ტონა ყურძენი.*

□ *სულ რესპუბლიკის მკარნეებმა მიიღეს 413.857 ტონა ყურძენი.*

● ეს გასული წლის ამ დღის მაჩვენებელს 104.995 ტონით აღემატება.

## ჩხოროწყუელთა ხილი

წელს ვალდებულებით უნდა მიგვეღო და სახელმწიფოსათვის მიგვეყიდა 2.980 ტონა თესლოვანი ხილი. პირობის შესასრულებლად რაიონის ყველა მშრომელი დაირაზმა. მეშაობის სამეთაურო ცენტრი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში იქნა გადატანილი და აი შედეგიც: ვადამდე, 9 ოქტომბრისათვის ხახელმწიფოს მიეყიდა 3.001 ტონა თესლოვანი ხილი.

ჩხოროწყუელებმა გადაწყვიტეს ვალდებულების გადამეტებით კიდევ მოკრეფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 200 ტონაზე მეტი თესლოვანი ხილი. ეს „კომუნისტის“ რედაქციას ეცნობა საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ქაჯაიამ.

# პარტია მოგვიწოდებს

საბჭოთა ქვეყნის მატიანეში ბევრი ღირსსახსოვარი საზეიმო თარიღია, რომლებიც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ჩვენი ხალხის სახელოვან გამარჯვებათა ისტორიულ ეტაპებს აღნიშნავს. მაგრამ არის ერთი თარიღი, მარად სახსოვარი და მარად დაუვიწყარი, რომელიც ყველა ჩვენი გამარჯვების და განახლება-აღორძინების დასაბამია. ეს არის ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღე — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების დღე. ამიტომაც არის, რომ ამ მუდამ ხაიუბილეო თარიღის შესახვედრად დღით ხაბჭოეთის მშრომელები გამორჩეული მონდომებითა და ენთუზიაზმით ემზადებიან.

ყოველწლიურად ოქტომბრის წინა დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოწოდებებით მიმართავს ხაბჭოთა და მსოფლიოს ხალხებს.

ეს არის პარტიის სიტყვა — ახალ ხაგმირო საქმეთა თავდადგმისათვის დამოძახებანი და შთამაგონებელი. ეს ი ი ვ ი ე ბ ი ხალხის გულისხმქმაა, მისი ფიქრია, ამიტომაც ხალხი მუდამ ეხოდენ ყურადღებით ისმენს თავის გულისხმქმას—პარტიის ბრძნულ სიტყვას.

ყველაზე დიდი პროგრამა, რომლის რეალური საქმედ გადაქცევისათვის დღეს იბრძვიან ჩვენი ქვეყნის მშრომელები, სკკპ XXV ყრილობამ დაგვისახა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წლევანდელ ხაოქტომბრო მოწოდებებშიც. რომელიც ჩვენს პრესაში გუშინ გამოქვეყნდა, ნათლად და გარკვეით არის ნათქვამი, რომ ამ დიადი პროგრამის განხორციელება უმთავრესი ამოცანაა.

პარტია მოგვიწოდებს:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. განვითარებული სოციალიზმის შესაძლებლობათა სრული რეალიზაციისათვის!

უკვე ერთ წელზე მეტია ხაბჭოთა ქვეყანა ახალი კონსტიტუციით ცხოვრობს და მოქმედებს. ამ ნათელ ისტორიულ დოკუმენტში, რომელსაც ჩვენმა ხალხმა კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის მანიფესტი უწოდა, კონსტიტუციური დაკანონება პოვა ისეთმა ისტორიულმა მიღწევებმა, როგორიც არის განვითარებული, მოწიფეებული სოციალისტური საზოგადოების აშენება, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს გადაქცევა საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოდ, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება და გაღრმავება, რაც ჭეშმარიტი სახალხო ხელისუფლების საფუძველია.

— ბუშმარჯოს საბჭოთა კონსტიტუციას — მსოფლიოში პირველი სამართო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ძირითად კანონს! — ნათქვამია ხოქტომბრო მოწოდებებში.

წლეულს ხაბჭოთა ხალხის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმი. მიღებულ დადგენილებაში, პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებში მოცემულია სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობა-განვითარების დიდი პროგრამა. პარტია თავის ხოქტომბრო მიმართვაში ხაბჭოთა კავშირის მშრომელებს მოუწოდებს, რომ მთელი ენერგიით იბრძოლონ ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი და დინამიკური განვითარებისათვის. დაარქარონ მიხი მექანიზაციისა და ქიმიზაციის, მიწების შელიორაციის ტემპი, განვითარონ წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია.

კომუნისტური საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია ხალხთა ლენინური მეგობრობა — ჩვენი ქვეყნის ძლიერების ბურჯი და ხაბჭოთა ხალხის ცხოვრების შემდგომი აყვავების უშრეტი წყარო.

ხაბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალის მეკრემეტყველური დადასტურებაა ამყარებული ოდი ხაყოველთაო-სახალხო ზეიმი მომზე ხომხეთში, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში შესვლის 150-ე წლისთავს დღესასწაულობს. ხოლო ჩვენი ქვეყნის ყოველი მხრიდან ერევანში ჩამოსული ხტუმრები ერთხულოვნად ამბობენ ხალხთა ძმობა-მეგობრობის მარად გაუხუნარ ხადღეგრძელოს:

— გაუმარჯოს ჩვენი სოციალისტური ხამშობლოს უველა ერისა და ეროვნების ძმურ მეგობრობასა და ურყევ ერთიანობასა!

კომუნისტური ხაზოგადოების აქტიური მშენებლის აღზრდა-ჩამოყალიბებაში უდიდესი კულტურის, მწერლობის, ხელოვნების როლი. ეჭშმარიტად მაღალმხატვრული და მაღალიდეური მოთხრობა, ლექსი, სპექტაკლი, კინოფილმი, მუსიკალური ნაწარმოები თუ მხატვრის სურათი ადამიანის ხულის უფაქიზეს სიმებს ახმაინებს და გვაკეთილშობილებს, შრომის ხალისსა და ენერგიას გვმატებს. ამიტომ

პარტია მოგვიწოდებს:

— ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო მაღლა აატარეთ ხაბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა, შეაქებინეთ ჩვენი დიადი ხამშობლოს შესაბამისი ნაწარმოებები!

ამ ნახევარი ხუკუნის წინათ ვლადიმერ მაიაკოვსკი ხატოვნად ამბობდა: „დასავლეთი დედამიწის კრემლი არის, — ყველამ იცის!“, მეტის ხიამაყით შეგვიძლია გავიმეოროთ პოეტის სიტყვები დღეს, როცა თავისი მშვიდობისმოყვარული ლენინური ხაგარეო პოლიტიკის მეოხებით ხაბჭოთა კავშირი მშვიდობის უძლიერესი ბურჯია მთელ მსოფლიოში, ხოლო მისი დიდად ავტორიტეტული მონაწილეობის გარეშე არც ერთი საერთაშორისო პრობლემა არ წყდება და ვერც გადაწყდება.

თავის ხოქტომბრო მოწოდებებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგული სკკპ ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს მიუძღვნის საზღვარგარეთის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რომლებიც თანმიმდევრულად იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის. ხოლო მსოფლიოს ხალხებს მოუწოდებს, რომ ბაბილონურ ბრძოლა ახალი მსოფლიო ომის საფრთხის აღკვეთისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის, რომ ძალის გამოუყენებლობის პოლიტიკა მტკიცედ დაკანონდეს ხალხებისა და სახელმწიფოების საერთაშორისო ურთიერთობაში.

პარტიის ხოქტომბრო მოწოდებებს, პარტიის შთამაგონებელ სიტყვას თავის გულისთქმად აღიქვამს ხაბჭოთა საქართველოს ხალხი. ზოგიერთი ცალკეული ნაკლოვანებისა და ჩამორჩენის მიუხედავად, რომლებზეც დაუფარავად, კომუნისტური პირდაპირობით იყო ხაუბარი ამ დღეებში გამართულ საქართველოს სსრ პარტიულ-ხამეურნეო აქტივის კრებაზე, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს შეუძლიათ იამაყონ ხახალხო მეურნეობის და კულტურის დარგებში მოპოვებული წარმატებებით.

რესპუბლიკის ხახალხო მეურნეობაში მოპოვებული წარმატებები თვალხაჩინოა, მაგრამ ეს თვითკმაყოფილების უფლებას როდი გვაძლევს. გახაკეთებელი კვლაი ბევრია. 1978 წლის ხახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებისათვის აუცილებელია საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა გაანადგონ აღებული ვალდებულება — წლის ბოლოსათვის ხამშობლოს მისცენ 160 მილიონი ამნეთის ზეგმეთი პროდუქცია, არ უნდა გვყოვდეს არცერთი ჩამორჩენილი საწარმო.

ამასთანავე ხაჭიროა ამთავითვე ვიზრუნოთ მომავალი წლის მოხავლიხათვისაც, განეახორციელოთ ხაშემოდგომო სამუშაოთა მთელი კომპლექსი ბაღებში, მინდვრებში, მოვეჭიდოთ ციტრუსების მოხავლის აღებისათვის, კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ხილის, ბოსტნეულის, სხვა ხახოფლო-ხამეურნეო კულტურების მოხავლის აღების ტემპი, წარმატებით უნდა გადაეწყვიტოთ მტკიცე ხაკვები ბაზით ხაზოგადოებრივი მეცხოველეობის უზრუნველყოფის ხაკითხები.

ამ ხოქტომბრო დღეებში ხაქართველოს მშრომელები თავიანთ გულისხმქმას უერთებენ მთელი ხაბჭოთა ხალხის გულისთქმას და მოქმედების დევიზად აღიქვამენ პარტიის მოწოდებას:

— მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის მშენებლობის ახალი ეტაპისაკენ!

# საბჭოთა საქართველო — საოქტომბრო ვახტზე

## უკანასკნელი მეტრი მიწის ქვეშ

**თბილისი** მეტროპოლიტენის ხაზის „ვაგზლის მოედანი — დელისის“ მშენებლებმა დაამთავრეს მარჯვენა გადასარბენი გვირაბის გაყვანა. 11 ოქტომბერს მომავალი სადგურის „ვაგზლის მოედანი — გადასაყრდამის“ რკინიგზა გაიარეს ელვის გრუნტის უკანასკნელი მეტრი. ეს სამუშაო შეასრულა სამეურნეოსაგარეშოო-შენაერთ სამეკლესერმა ბრიგადამ, რომელსაც ამირან ზარქუა მეთაურობს.

ამ ამბავს განმარტავს „თბილისგეოლმშენის“ სამმართველოს უფროსი ვ. ფ. გოცირიძე:

— ეს შეერთება უკანასკნელი იყო ხაზზე. ორივე გადასარბენი გვირაბი გაყვანილია. მოველოდით, რომ ეს ნოემბრის შუა რიცხვებში მოხდებოდა. შემდეგ ა. ზარქუამ და მისმა ბრიგადამ დანიშნეს ახალი ვადა — 7 ნოემბერი, სინამდვილეში თითქმის ერთი თვით ადრე დაამთავრეს ეს სამუშაო. მათ ეს მოახერხეს შრომის ზუსტი ორგანიზაციის, მოძმიგანავ პროფესიების თანამეგობრის, მოქანეზმების უნარიანად გამოყენების გზით.

ვეირაბის გაყვანის ვადამდე დამთავრება საშუალებას იძლევა ფრუზე ადრე გამართონ ფერთა ფერონტი საალაბაგო და სამონტაჟო სამუშაოებისათვის, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ასამუშავებელი გრაფიკის დაცვისათვის.

(საქინფორმი).

## სიტყვა შეასრულეს

**ახალციხე**, (ხაკ. კორ.). ელექტროძრავების ქარხნის კოლექტივმა ივალდებულა სსრკ ახალი კონსტიტუციის პირველი წლისთავისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა ასი ცალი მუდმივი დენის ელექტროძრავა. კოლექტივმა სიტყვა 7 ოქტომბრისათვის გაანალია. გეგმის გადამეტებით გამოუშვა 190 ცალი მუდმივი დენის ელექტროძრავა.

შ. მაისურაძე.

## უპატპაკებენ წითელწყაროელები

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი თ. ბოქსაძე გვატყობინებს:

**რესპუბლიკის** მშრომელებთან ერთად წითელწყაროს რაიონის მეკენტრებები ენერგიულად იბრძოდნენ რესპუბლიკური 512.000 ტონა ყურძნის დამზადების. საქმეში საბატონო წელიწადს შესატანი და გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. მარშანდლეთან შედარებით გაცილებით მეტი მოსავალი მიიღეთ.

ჩვენმა მეზობელმა რაიონებმა უფრო ადრე შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა და ვალდებულება. ჯერ ჩვენზე იყო, და აი გუშინწინ **წითელწყაროს რაიონის მშრომელებმა ნაცვლად 23.100 ტონისა მარანში 25.250 ტონა ყურძენი მიიტანეს.**

ყურძნის მოსავლიანობის სიუხვეში ღირსეული წვლილი შეტანეს გამარჯვების, ოზაანის, ჯაფარიძის, ირბილოსკალოს და საბათლოს კოლმეურნეობებმა. გამარჯვებულებმა 3.261 ტონა მიჰყიდეს სახელმწიფოს, ზეგმეტადელებმა — 2.980 ტონა, ჯაფარიძელებმა — 2.300 ტონა, ირბილოსკალოელებმა — 2.165 ტონა. და ამით ვალდებულებები შესრულეს. მათთან ერთად ეს გამარჯვება მინდა მიეულოცო შეგენახეთა დიდ ოსტატებს გამარჯვებიდან — **ვახტანგ ფიროსმანაშვილს, ჯაფარიძიდან ზაქარია ყოჩიაშვილს, ოზაანიდან ვალიკო კოხტაშვილს,** ირბილოსკალოდან **ალექსი ციხელაშვილს** და სხვა ბრიგადებს, რომლებმაც ყველაზე მეტი — საშეალოდ ჰექტარზე 130-140 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

რთველი გრძელდება. წითელწყაროელები სახელმწიფოს კიდევ ასობით ტონა ყურძენს მიჰყიდიან.

# ერევანი, 14 ოქტომბერი

(ხაკდენის სპეც. კორ.). ხომხეთის სსრ ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების მიღწევათა ფართო დათვალიერება გახდა ღირსშესანიშნავი იუბილეს — რუსეთის შემადგენლობაში ხომხეთის შესვლის 150-ე წლისთავის დღესასწაულობა. რუსეთთან შეერთება შემობრუნების შინაარსად იქცა ძველი სომეხი ხალხის ისტორიაში და დახატა მისი ოდინდელი ოცნების — თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე ოცნების განხორციელების ერთადერთი გზა.

14 ოქტომბერს ერევანში გაიმართა ხომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ხომხეთის სსრ უმაღლესი ხაბჭოს გაერთიანებული ხაზეიმო ხხდომა.

დარბაზში შეეკრიბნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რესპუბლიკის უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატები, პარტიული, ხაბჭოთა და ხაზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ხაბჭოთა არმიის მეომრები. აქვე იყვნენ სტუმრები მოკავშირე რესპუბლიკებიდან, რუსეთის ფედერაციის ქალაქებიდან, სომხეთის სსრ რესპუბლიკის ძმაზანფიცის — უნგრეთის ხახალხო რესპუბლიკის დიერ-შოპრონის ოლქის — დელეგაცია, ხაზღვარგარეთის სომეხთა პროგრესული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს დ. ფ. **უსტინოვს,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს კანდიდატს, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **გ. ა. ალიევს.** პრეზიდიუმში იყვნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **კ. ს. დემირჩიანი,** სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ე. ხარჭიხოვი,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. ტ. ხარჭისიანი,** სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მბიურის წევრები და წევრობის კანდიდატები, მოკავშირე რესპუბლიკებისა და რუსეთის სსრ რესპუბლიკის ქალაქების დელეგაციათა ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის მარშალი **ი. კ. ბაგრამიანი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების მოადგილეები **ვ. ი. ბროვიკოვი, პ. კ. ლუჩინსკი.** ამერიკელ ხალხის წითელდროშოვანი სომხეთის ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **ი. ო. კულიშევი,** ბაქოს წითელდროშოვანი საპატერო თავდაცვის ოლქის ჯარების სარდალი ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი **ა. უ. კონსტანტინოვი,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი გენერალ-მაიორი **ნ. ი. მაკაროვი,** სხვა მხედართმთავრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, წარჩინებული წარმოების მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შესრულდა სსრ კავშირისა და სომხეთის სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი ალმაცლობით აღიარეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დარბაზში საზეიმო მარშის ხმაზე შემოიტანეს სომხეთის სსრ დროშა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბანერები.

# მეგობრობისა და ძმობის ნათელი დღესასწაული

### სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

ბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დარბაზში საზეიმო მარშის ხმაზე შემოიტანეს სომხეთის სსრ დროშა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბანერები.

**სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა დ. თ. უსტინოვმა, რომელსაც შეერგებლნი გულთბილად შეხვდნენ.**

ამ საიუბილეო ღღეებში, განაგრძო დ. თ. უსტინოვმა, ჩვენ განსაკუთრებით მეადიოდ წარმოვიდგენთ სომეხი ხალხის ტანჯვა-ვაგონთ ალსავსე მრავალსაუკუნოვანი ისტორია, კიდევ უფრო ნათელი ხდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი ბედისათვის რუსეთთან, მომქმედ რუს ხალხთა შეერთებას.

ამმოსავლეთ სომხეთის რუსეთთან შემოერთება გაბდა უცბათელთა შემოსევებისაგან სომეხი ხალხის ხსნისა და გადაშენების საფრთხის თავიდან აცილების გადამწყვეტი ფაქტორი, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მის შემდგომ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში.

სომეხი და რუსი ხალხების მეგობრობას, მათს სწრაფვას ურთიერთ დახმარებისაკენ, მოწინავე რუსული და სომეხური კულტურის მრავალმხრივ ურთიერთობას ღრმა ისტორიული თვალსაზრისი აქვს. იბრძოდნენ რა შინაური და გარეშე, მრავალრიცხოვანი წინააღმდეგ, სომეხი მშრომელები რუსეთის დემოკრატიულ და რევოლუციურ ძალებში ხედავდნენ თავიანთ მძლავრსა და ერთგულ მოკავშირეს. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაზე, სომეხი ხალხის მთელ სულიერ ცხოვრებაზე მძლავრი, ნაყოფიერი გავლენა მოახდინა დეკაბრისტთა და რევოლუციურ დემოკრატთა განმათავისუფლებელმა იდეებმა.

სომხეთის შესვლამ რუსეთის შემადგენლობაში ხელშემწყობი პირობები შეუქმნა სომეხი ხალხის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ურთიერთობის გაფართოებას, პოზიტიური ზემოქმედება მოახდინა როგორც მის უახლოეს მეზობლებთან — ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებთან, ისე ქვეყნის ყველა სხვა ხალხებთან მეგობრობისა და სოლიდარობის შემდგომ განმტკიცებაზე.

რუსეთის ხალხთა მეგობრობა იწრთობოდა და მტკიცდებოდა მათს ერთობლივ ბრძოლაში სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. „მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლის ისტორიულმა გამოცდილებამ, — თქვა ლენინიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, — სომხეთის მშრომელებს უჩვენა თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის ერთადერთი სწორი გზა — რევოლუციური ბრძოლის გზა, სოციალისტური გარდაქმნების გზა“. ამ ბრძოლაში ერთმანეთს შეეწყნა სომხეთის მშრომელი ხალხის ძირეული ინტერესები და რუსეთის მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესები.

რევოლუციური მასების მოძრაობას სათავეში ჩაუდგა დიდი ლენინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტია, რომელმაც მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით გაიერთიანა მშრომელი ადამიანების ბედნიერებისათვის, სოციალისტური იდეალების გამარჯვებისათვის ბრძმარიტი მებრძოლნი. ლენინის ირგვლივ ერთიან რევოლუციურ მწყობრად შეკავშირდნენ სომეხი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები.

სომხეთის მშრომელთა მასები ენთუზიაზმით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის გამარჯვების ამბავს და აღსდგნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად.

ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ხალხები შეკავშირდნენ ერთიან ოჯახად და შექმნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ, კულტურულმა რევოლუციამ სახე უცვალა ქვეყანას, ხელი შეუწყო მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალიერების სრულ აყვავებას. დროთ ცხადყო, რომ სსრ კავშირის ხალხთა ინტერნაციონალური, ძმური მეგობრობა დიდი ძალაა. ეს დამაჯერებლად გამოვლინდა სოციალისტური მშენებლობის პროცესში, დიდი სამამული ომის ქარცეცხლიან წლებში.

გმირი საბჭოთა არმიის რიგებში და პარტიზანულ რაზმებში ყველა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა მხარდამხარ იბრძოდა ასიათასობით სომეხი მეომარი, რომლებიც სამაგალითონი იყვნენ ვაჟკაცობითა და გულადობით. მათგან 70 ათასამდე კაცი დაჯილდოდა საბრძოლო ორდენებითა და მედლებით, ამაზე მეტს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. ნიჭიერ მხედართმთავრებად გამოიჩინეს თავი სახელგანთქმულმა მარშალმა, ოროზას სამეომარ კავშირის გმირმა ი. ქ. ბაგრამიანმა, საბჭოთა კავშირის გმირებმა, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალმა ი. ს. ისაკოვმა და ჯავშანსატანკო ჯარების მთავარმა მარშალმა ა. ქ. बाბაჯანიანმა, ავიაციის მარშალმა ს. ა. ხუდიაკოვმა (ხანფერიანცმა) და სხვა სასიქადულო სომეხმა მხედრებმა.

ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ განვლილ მესამედ საუკუნეში საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ლენინური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საამაყო სოციალური პროგრესის ყველაზე მოწინავე მიჯნებზე გადაუვანეს. ჩვენს მიერ გავლილი გზის მთავარი შედეგი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება. „კომუნიზმის გზაზე ჩვენი წინსვლა

(დასასრული მე-2 გვ.).

ხურათზე: დ. თ. უსტინოვმა ხომხეთის სსრ დროშაზე მოაბნია ლენინის ორდენი. სსკდის-საქინფორმის ფოტო.

# მეგობრობისა და ძმობის ნათელი დღესასწაული

(დასასრული).

ისტორიული მიზნა დამკვიდრებულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რომლის პირველი წელთაღრიცხვაც ფართოდ და საზეიმოდ აღნიშნა ჩვენმა ქვეყანამ.

საუკუნეთა მანძილზე საუკეთესო მამულიშვილები ეძებდნენ ადამიანთა ბედნიერების, თანასწორუფლებიანი და მეგობრული ურთიერთობის დამყარების გზებს. მაგრამ ასეთი ურთიერთობა რეალობად აქცია მხოლოდ ლენინის პარტიამ, რომელმაც ახალი საზოგადოების აშენებისათვის მომდინარე რევოლუციური ბრძოლა შეუერთა ჩაგრული ხალხების ბრძოლას ეროვნული და სოციალისტური განთავისუფლებისათვის, მიაღწია იმის, რომ ინტერნაციონალიზმი ერთი მუჭა კომუნისტების იდეალიდან ქცეულიყო ორმა რწმენად, მრავალმილიონიანი ხალხთა მასების ყოველდღიური საქმიანობისა და მოქმედების ნორმად. მაინ ისტორიული შემოქმედებით შეიქმნა სოციალიზმის გიგანტური მატერიალური და სულიერი პოტენციალი. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში განხორციელდა უდიდესი გარდაქმნები, რომელთა შედეგად წარსულს ჩაბარდა მეფის რუსეთის ყოფილი განაპირა მხარეების ეკონომიკური ჩამორჩენილობა. თითოეული საბჭოთა რესპუბლიკა ჰფლი მსოფლიოს წინაშე წარსდგა, როგორც ეროვნულმყოფელი ლენინური იდეების გამარჯვების შთამაგონებელი მაგალითი.

პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური ურთიერთობა მთელი ქვეყნისა და თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესებისათვის, აღზარდოს მშრომელები სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის, ყველა ერისა და ეროვნების ღრმა პატივისცემის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლინებათა შეუწყნარებლობის სულისკვეთებით.

საბჭოთა ადამიანებს თავიანთი მარიანადი სიყვარულის გრძნობა ორგანულად ერწყმით ჩვენი დიდი მრავალეროვანი სამშობლოს — სსრ კავშირისადმი სიყვარულს. თავიანთი რესპუბლიკის, მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მხურვალე პატრიოტები არიან საბჭოთა სოციალისტური მშრომელები. ისინი თავიანთ პატრიოტიზმსა და სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს ამტკიცებენ ყოველდღიური საქმეებით, კომუნიზმის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობით.

ჩვენ ზემოთ დიდი ქმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ სამხეთის სს რესპუბლიკის მშრომელები, ისევე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მჭიდროდ არიან შეკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო. ერთსულოვნად უჭერენ მხარს მის სამშენო და საგარეო პოლიტიკას.

და ეს კანონზომიერიც არის. საბჭოთა ადამიანები მრავალი წლის გამოცდილებამ დაარწმუნა თავისი ნაცადი პოლიტიკური ავანგარიანის სიბრძნეში და გამჭრახობაში. ჩვენი პარტიის უზენაესი მიზანია ხალხის სამსახური.

საბჭოთა ადამიანები ღრმა სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით ეკიდებიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და მის მეთაურს — თანამედროვეობის გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. ეს ბრეჟნევის ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებაზე დაუღალავი ზრუნვისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, თქვა შემდეგ ე. თ. უსტინოვმა, ძირფესვიანად იცვალა სახე სამხეთმა. მოძმე რესპუბლიკების დახმარებით აქ არსებითად თავიდან შეიქმნა ძლავრი ინდუსტრია, აშენდა თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი 500-ზე მეტი სამრეწველო საწარმო. ამჟამად სომხეთის სს რესპუბლიკა ხუთჯერ მეტ ელექტროენერგიას აწარმოებს, ვიდრე მთელი მეფის რუსეთი. რესპუბლიკის ძლავრი ტექნიკური პროგრესის ნამდვილი სიმბოლოა სომხეთის ატომური ელექტროსადგური, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ აშენდა. მართლაც რომ საამაყოა: აქ, სადაც ადრე ლურსმნით დაწყებული, ყველა სამრეწველო ნაწარმი შემოაქონდათ, ამჟამად უშვებენ ზუსტ ხელსაწყოებსა და ჩარხებს, საინგარიშო-გამოსათვლელ მანქანებს, ელექტროტექნიკურ ნაწარმს, ახალ კიბოჭრა მასალებს, ფერად ლითონებსა და სხვა პროდუქციას, რაც წარმოების მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს მოწმობს.

რესპუბლიკაში გაიზარდა ახალი მუშაკები, მოწინავე საზოგადოებრივი შეხედულებების, მაღალი კულტურისა და პროფესიული ცოდნის მატარებელი, ცხოვრების ბატონ-პატრონი ამ სიტყვის უფართოესი გაგებით. საბჭოეთის მუშათა კლასის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი — სომხეთის სახელოვანი მუშათა კლასი — თავის რიგებში დღეს 800 ათას კაცს ითვლის. ეს არის რესპუბლიკის მთავარი ალმშენებლობითი ძალა, რომელიც ბანასახიერებს გამჭრე, ნიჭიერი სომეხი ხალხის საუკეთესო ნიშნთვისებებს.

ღრმა პატივისცემასა და სიამაყეს იწვევს სომეხ მიწათმოქმედთა მოღწეევები, რომლებმაც წინათ უსიცოცხლო ბიცობები და ქვიანი უდაბნოები წელკოდად აქციეს; ბაღები და ვენახები გაშენეს.

ძირფესვიანად შეიცვალა გლეხაკის ცხოვრება, მისი ყოფა, შრომის ხასიათი და პირობები.

რესპუბლიკის ყოველმხრივ განვითარებაში საგრძნობი წელილი შეაქვს სომხეთის ინტელიგენციას. ეს არის მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ხორცი ხორცთაგანი, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ყველაზე აქტიურად უწყობენ ხელს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, კულტურის შემდგომ აყვავებას, პარტიის კურსის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების კურსის პრაქტიკულ განხორციელებას.

სომხეთი ძველი, თავისთავადი კულტურის ქვეყანაა. ჩვენ ალგეფერთოვანებს მისი არქიტექტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებები, პატიეს ვცემთ გენიალურ მეცნიერებსა და პოეტებს, რომლებიც მან მსოფლიოს მისცა. 1600 წელზე მეტი ხნის წინ შექმნა თავისი დამწერლობა სომეხმა ერმა, მაგრამ 1920 წლისათვის აქ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უწიგნური იყო. ახლა კი საბჭოთა სომხეთის ყოველ მესამე მცხოვრები სწავლობს.

რევოლუციამდე სომხეთში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო. ახლა რესპუბლიკაში არის 13 უმაღლესი და 65 საშუალო სპეციალური სასწავლებელი, სადაც 111 ათასი კაცი სწავლობს.

დ. ო. უსტინოვმა აღნიშნა ის დიდი წვლილი, რომელიც რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეებს შეაქვთ საბჭოთა ხალხის მრავალეროვანი კულტურის საგანძურში. სსრ კავშირისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა კულტურის მიღწეევთა ზიარების დიდი შესაძლებლობანი მისცა სომეხ მშრომელებს რუსული ენის ნებაყოფლობითმა შესწავლამ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ერების ურთიერთობის ენა გახდა.

სომეხი ხალხის ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აყვავება, რომელიც კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა კავშირის ხალხების ერთიან ოჯახში ცხოვრობს, მკაფიოდ ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სამართლიანობას.

ბოლოს, ამ ეტაპზე, თქვა, რომ ჩვენ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება საგეგმო დისციპლინის განუხრელ დაცვას, სწორაფად მზარდი საწარმოო-სამეცნიერო პოტენციალის სრულ გამოყენებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დიდ ინტერესს და მუდმივ ზრუნვას იჩენენ თქვენი რესპუბლიკის სამეეფოსათვის, თქვა მან. ყურადღებით განიხილება და დროულად წყდება მომწიფეფული საკითხები. უკანასკნელ ხანს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს მთელი რიგი დიდ მნიშვნელოვანი დადგენილებები, რომლებითაც გათვალისწინებულია სომხეთის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება, ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის აღმავლობა. რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებთა, ყველა მშრომელის კარგი სახელჩარი იქნება მეტროპოლიტენი, რომელიც მალე უნდა გაიხსნას. ამ დღეებში მიღებულია გადაწყვეტილება ბუნების უნიკალური ქმნილების — სევანის ტბის დაცვისა და რაციონალური გამოყენების შესახებ.

დიდი და სერიოზული ამოცანები დგას სომხეთის სს რესპუბლიკის წინაშე. მათ გადაწყვეტას დასჭირდება ყველა პარტიული, სახელთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის მეცადინეობა, მშრომელთა მაღალი ორგანიზება და შეგნება. უნდა ამაღლდეს იდეური გავლენის ყველა საშუალების ქმედითობა, ნიადაგ უნდა ვეძიოთ ყოველ ადამიანს მაღალ იდეურ-ზნეობრივ პრინციპებს, აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას.

ჩვენ ექვი არ გვეპარება, რომ რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ახალ შესანიშნავ წარმატებებს მოიპოვებენ კომუნისტურ მშენებლობაში და პირნათლად შეასრულებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ამ ცოტა ხნის წინ ბაქოში გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაწერილებით ილაპარაკა ამის შესახებ, თუ როგორ აფასებს სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახლანდელ საერთაშორისო ვითარებას. უკანასკნელ თვეებში, თქვა დ. თ. უსტინოვმა, ჩვენ მოწმენი გავხდით მსოფლიო ასპარეზზე მომხდარი ბევრი ოქტის ან მოვლენისა, რომლებიც მოწმობენ, რომ ჯიქელდება ორი ტენდენციის ბრძოლა: ერთი მხრივ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაორმაგებისა და ოამკეთრების, მშვიდობის განმტკიცების ტენდენციის და. მეორე მხრივ, დაძაბულობის შენარჩუნების ძალგამოთხრის, ომიანობისათვის „ცივი ომის“ ხანის ობარუნების ტენდენციის შორის.

იმპერიალიზმი სულ უფრო აძლიერებს გამაღაბეულ შეიარაღებას. ცალკეულ ქვეყნების სოციალისტური ძალებისა და ეროვნული-სანმეობრივი ... ... ...

# საერთაშორისო სლოვაჯა

საკლესიო იტყოვინება

## დისკუსია დამთავრდა



**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე**

ნიუ-იორკი. (საკლესიო კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 33-ე სესიაზე დამთავრდა ზოგადპოლიტიკური დისკუსია. საბოლოო სხდომაზე გამოსული ლიბანის, ალჟირის, ეთიოპიის, სეიშელის კუნძულების, კოლუმბიის, მალტის დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ მიმდინარე სესიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა იხმაროს ეფექტიანი ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის აცილებელ ერების უსწრაფესად ლიკვიდაციისა და ახალი კერების შექმნის თავიდან აცილებისათვის. როგორც არავინ იყო აღნიშნული გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან, ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ახლო აღმოსავლეთს, სადაც ისრაელ აგრესორთა და მათ ოკუპანისგადმელ მფარველთა მანევრებს გამო ფრიად დაძაბული და უაღრესად საშიში სიტუაციაა შეიქმნა.

„სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის მიღწევა ახლო აღმოსავლეთში შეიძლება იქნეს მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებენ ისრაელის მიერ ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიის გათავისუფლებას და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებების, მათ შორის საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების უზრუნველყოფის“, — განაცხადა ალჟირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ბუტეფლიკამ.

მან დაგმო ეგვიპტე და ისრაელი, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით ცდილობენ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სეპარატულ მოწესრიგებას არაბ ხალხთა კანონიერი ინტერესების საზიანოდ. „დიქტატისა და პალესტინის არაბი ხალხის უფლებების განსრახ უგულებელყოფის პოლიტიკა, რომელთა აღდგენა ახლო აღმოსავლეთთან, პრობლემის ყოველი ნამდვილი მოწესრიგების საკვანძო საკითხს წარმოადგენს, — თქვა ა. ბუტეფლიკამ, — არათუ არ მოუახლოებს ახლო აღმოსავლეთის მშვიდობას, არამედ, პირიქით, შეუძლებელს გახდის მას“.

სეიშელის კუნძულების საგარეო საქმეთა და ტურიზმის მინისტრმა ჯ. სინონმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ საჭირო ვიბრძოლოთ იმისათვის, რათა რასისტულ-კოლონიური რეჟიმი მოისპოს აფრიკის სამხრეთ ნაწილში, რაც შეიძლება მალე განხორციელდეს ზომებიანესა და კოლონიალიზმის ძალები უწინდებურად აბორიგენების ხალხთა თვითგამორკვევისა და ნამდვილი დამოუკიდებლობის უფლებები, — აღნიშნა ჯან. — მათი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური დახმარება რასისტული რეჟიმებისადმი სამხრეთ აფრიკაში აწყვეს იმას, რომ ბოლო დროს განაცხადეს ბრძოლა ეროვნული გამოხდომები აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოებს, — ანგოლას, ზამბიას, მოზამბიკს, ბოტსვანის წინააღმდეგ“. აღნიშნა რა, რომ რასისტების წინააღმდეგ ბრძოლა ეროვნული გათავისუფლებისათვის ყველა მათ განკარგულებაში არსებული საშუალებით, კერძოდ შეიარაღებული ბრძოლა.

სოციალისტური ეთიოპიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფელეკე გედლე-გიორგისმა თავის გამოსვლაში გადაჭრით დაგმო დასავლეთის და უწინარეს ყოვლისა ნატოს წევრი ქვეყნების ნეოკოლონიალისტური ხროკები აფრიკის კონტინენტზე, რომელთა მიზანია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის ძირის გამოთხრა. „ბენერალიზმისა და კოლონიალიზმის ძალები უწინდებურად ინორციელდეს ზომებიანესა და ნამიბიის ხალხთა თვითგამორკვევისა და ნამდვილი დამოუკიდებლობის უფლებები, — ამბობს ჯან. — მათი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური დახმარება რასისტული რეჟიმებისადმი სამხრეთ აფრიკაში აწყვეს იმას, რომ ბოლო დროს განაცხადეს ბრძოლა ეროვნული გამოხდომები აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოებს, — ანგოლას, ზამბიას, მოზამბიკს, ბოტსვანის წინააღმდეგ“. აღნიშნა რა, რომ რასისტების წინააღმდეგ ბრძოლა ეროვნული გათავისუფლებისათვის ყველა მათ განკარგულებაში არსებული საშუალებით, კერძოდ შეიარაღებული ბრძოლა.

## სასარგებლო თანამშრომლობა

ვაშინგტონი, 14 ოქტომბერი. (საკლესიო კორ.). სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინმა და ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯ. ჯოზეფმა ხელი მოაწერეს ოქმს მძლეველი ფრინველების და მათი ბინადრობის გარეშეოს დაცვის თაობაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოსაზრობებს შორის დადებული კონვენციის რატიფიკაციის სიგელებისა და დამტკიცების დოკუმენტების გაცვლის შესახებ. იგი ითვალისწინებს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ერთობლივ მოქმედებას ორ ქვეყანას შორის მიმომფრენი ფრინველებს, აგრეთვე იმ ფრინველებს დასაცავად, რომლებიც ბარტყებს ბინასაჩეკად და გამოსაზამთრებლად ბუდობენ მიგრაციის გზების გაყოლებით ჩრდილოეთ ამერიკის რაიონში და სხვაგან.

## მეგობრობის ჰიმნი

**ფესტივალის „საბჭოთა ამიერკავკასიის მელოდიების“ დასკვნითი კონცერტი**

13 ოქტომბერს დამთავრდა ფესტივალი „საბჭოთა ამიერკავკასიის მელოდიები“. ფესტივალი ხალხთა მეგობრობის ნამდვილ დღესასწაულად, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მუსიკალური კულტურების დათვალიერებად იქცა. ამ ფესტივალის დასკვნითი კონცერტი, რომელიც საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა, აღიარდა როგორც დიდი საბჭოთა ქვეყნის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ჰიმნი. მის პროგრამაში შეეკიდა ყველაფერ საუკეთესო, რითაც საქართველოში ჩამოვიდნენ ფესტივალის მონაწილენი.

საღამოსასწაულო კონცერტმა დაგვიმტკიცა ამიერკავკასიის ხელოვნების ოსტატთა საოქტომბრო მუსიკალური შეხვედრები.

მათი პირველი სიტყვა, პირველი სიმღერა მშობლიური ლენინისადმი იყო მიძღვნილი. საზეიმოდ აღიარდა ა. ხოლმინოვის სიმღერა ლენინზე, რომელიც შეასრულეს საქართველოს სამფონიურმა ორკესტრმა (დირიჟორი აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. აბდულაევი) და საქართველოს სახელმწიფო კაპელამ გ. მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით.

კონცერტის მთელი პროგრამა განმსჭვალული იყო ამიერკავკასიის ხალხთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის იდეით. ა. მაჭავარიანის, უ. ყარაევის, თ. უფლიევის, ი. კეკელიძისა და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებები შეასრულეს სამი რესპუბლიკის ვოკალისტებმა, რაც სიმბოლურად გამოხატავდა მოძმე კულტურების ურღვევ მეგობრობას, რომლებმაც დიდი ოქტომბრის ბზის ქვეშ აინახულ წარმატებებს მიაღწიეს. მსმენელებმა ტაბით დაჯილდოვეს აზერბაიჯანის მ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი, საკავშირო კონკურსის ლაურეატი ხ. კასიმოვი, საქართველოს დამსახურებული არტისტი თ. ლაფერაშვილი, ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტები, საკავშირო კონკურსის ლაურეატი ა. ექიმბაშიანი, რ. და ნ. ხარატიანები. კონცერტში მონაწილეობდა ტრიო ნ. და რ. ნადირაშვილების, გ. ასანიშვილის შემადგენლობით.

კონცერტში ს

# რთველობის დღესასწაული

**თბილისი** ორი დღით... ვაზის ხატაბტო ქალაქი გახდა. გუშინ აქ დაიწყო რთველობის დღესასწაული, მეგენახეთა გარჯის დღესასწაული, რომლებმაც ამინდის რთულ პირობებში უხვი მოსავალი მოიწიეს. უკვე მოკრეფილია 400 ათასი ტონაზე მეტი ყურძენი — ეს 100 ათასი ტონით აჭარბობს მარშანდულს. მეგენახეთა კალათები კი ივსება და ივსება ქარვისფერი მკვრივი მტევნებით...

ქალაქი სადღესასწაულოდ მორთული შეხვდა ავტომანქანების კოლონებს, რომლებიც ყურძნით იყო დატვირთული. სამი ათას ტონაზე მეტი ყურძენი ჩამოუტანეს თბილისელებს გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, საგარეჯოს, ყვარლის, ახმეტის, წეროლწყაროს, ლაგოდეხის, გარდაბნის, მარნეულის, მცხეთის, კასპის და რესპუბლიკის სხვა რაიონების მშრომელებმა.

ამ დღეებში ყველგან ვაზს დაუსადგურებია. მოედნებზე, ქალაქის პარკებსა და სკვერებში მოწყობილია სახელსახელო „ეზოსახები", დეკორატიული კუთხეები, რომლებიც ქართული სოფლის რთველობას ასახავენ. პლაკატებსა და ტრანსპარანტებს დაუმშვენებიათ ახალი თბილისი. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მიწათმოქმედნი ქალაქელებს ეპატიჟებიან ბაზრობებზე, ვაზის მტევნებით დახუნძლული მაღაზიებსა და ფაღრეულებში.

თავისებურ გამოფენაზე წარმოდგენილია ქარვისფერი რქაწითელი, ძალი საფერავი, ზურმუხტოვანი მწვანე — ათობით სხვა განთქმული ჯიშის ყურძენი, საღამოობით ცალ-ცალ კახურ ღვინის აყენებენ.

თბილისის მოაზნები და ქუჩები სოფლის მზატვრული თვითმოქმედების კოლექტივების ბუნებრივი სცენა გახდა. არის ცეკვა-თამაში, ისმის ქართული მაღნი ბარაქისა და გარჯის სიმბოლოს — ვაზის სადიდებელი სიმღერები და ლექსები.

**სპორტის სასახლე.** გეგონება მთელი კახეთი აქ მოსულა. სასახლის ახლო-მახლო ტერიტორიაზე „ვენახები" გაუშენებიათ თელავის, საგარეჯოს, სხვა რაიონების მშრომელებს. გაცხოველებული ვაჭრობაა...

— ჩვენ მეგეცადეთ თბილისელებისათვის სუფეთესო პროდუქტია ჩამოგვეტანა, — ამბობს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარე გ. თულაშვილი, — ეს ყურძენი მოიწია ჩვენს სოფელში — კაკაბეთში ნახევარი სუფეთის წინ შექმნილი „ქალთა კომფლის" სახელობის კომკავშირულმა ბრიგადამ. დღეს ეს ახალგაზრდობა ბრიგადა ყველაზე მოწინავეა კოლმეურნეობაში. გოგონებმა ჰექტარზე მოიყვანეს 90-110 ცენტნერი ყურძენი — გეგმაზე ორჯერ მეტი.

ქალაქის თითოეული რაიონი თავისებურად აღნინავს ვაზის დღესასწაულს. მაგალითად, გურჯაანელებმა კოლინინის რაიონში ბაზრობები გამართეს. წინათ აქ არსად არ ყოფილა ერთად ამდენი ყურძენი. ყურძენს ყიდიან სპეციალურ ფარდულებში, ავტომანქანებიდან.

აქ გავიცანით სამი მეგობარი — სოციალისტური შრომის გმირები კ. ბურდიაშვილი, ს. მირველაშვილი და შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი ვ. ხეთაგური. ისინი ჩუმლაყის გასთქმული კოლმეურნეობიდან არიან.

ჩვენ ვამაყობთ, რომ რთველობის დღესასწაულები ვმონაწილეობთ, რომ მეგენახეს დისციპლინად დაუფასდა გარჯა, — ამბობს კ. ბურდიაშვილი. — ჩვენთან ერთად, ჩვენს ოჯახებთან ერთად ამ იზიარებენ ქალაქის მშრომელებიც. მინდა მოგახსენოთ ჩემს მეგობარ ვ. ხეთაგელზე. იგი ყოფილი საზღვაო ქვეითი ჯარის მეომარია, ფრონტზე სამშობლოსათვის ბრძოლებში. ახლა კი ჩვენს საუკეთესო მეგენაფეებს ჯობს: ჰექტარზე 216 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ეს ალბათ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რესპუბლიკაში...

400 ტონა ყურძენი — ასეთი წვლილი შეიტანეს დღესასწაულში თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ნაფარეულის, ოფისაპრის, ჯუვალოსა და სხვა სოფლების მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დავალებანი და თავიანთი პროდუქციისა ორკონიკიძის რაიონის მშრომელებს ჩამოუტანეს.

...თბილისში ვაზის დღეობაა, მეგენახეების დღეობა. ზეიმში თავიანთი წვლილი შეიტანეს ქალაქის მშრომელებმაც. მათი გარჯის მეოხებით რესპუბლიკის დედაქალაქი ამ დღეებში განსაკუთრებით ლამაზი, სუფთა და კოხტა გახდა. მრწყველებმა ი. აფციაურმა, შ. ბექმოვლემ, გ. ხუბაშვილმა და მათმა ამხანაგებმა დილაუთენია გამოიყვანეს მანქანები და ორიწყეს პროსპექტები. გამფორმებელი მხატვარი დ. მაღრაძე, რომელიც 20 წელზე მეტია სადღესასწაულოდ ქალაქის ხოლმე თბილისს, აჭურვადაც შეეცადა თავის კოლეგებთან ერთად საზეიმო სახე მიეცა ქალაქისათვის. თავიანთი წვლილი შეიტანეს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმაც, რომლებიც რესპუბლიკის მეგენაფეობის მეურნეობებს შეეფობენ და დღეს თბილად და გულითადად შეხვდნენ მიწათმოქმედთ.

რთველობის დღესასწაული გადაიქცა კახელი მეგენახეების შრომითი გამარჯვების თავისებურ სახეობად. (ალექსეფორმი).

**სურათებზე:** ბაზრობა სპორტის სახასლესთან მარჯვნივ, კარდანახელი ს. გულაშვილი თბილისელებს მაჭრით უმასპინძლდება.

ხ. კილაძის ფოტო.

# ეს ავი სენიც დამარცხდება...

## თბილისის საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი

**თბილისში** მუშაობა დაამთავრა „ეპილეფსიის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების" საერთაშორისო სიმპოზიუმმა, რომელიც მოეწყო თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის საბჭოთა კავშირის ეროვნული კომიტეტის ინიციატივით. სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიური განყოფილება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო პრობლემების განყოფილება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოება და ამ დარგის წამყვანი მეცნიერები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. საბჭოთა მეცნიერებთან ერთად სიმპოზიუმზე მოხსენებები წაიკითხეს ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის მეცნიერებმა.

„კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში სიმპოზიუმის სორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, აკადემიკოსმა ვ. ოკუჯავამ თქვა:

— საერთაშორისო სიმპოზიუმი მიზნად ისახავდა ეპილეფსიის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების, ექსპერიმენტული კვლევის შედეგებისა და პრაქტიკული სამედიცინო პრობლემების გარკვევას. მისი თავიანი ტვინში ეპილეფსიური აქტიურობის გავრცელება; როგორ ვრცელდება პროცესი ერთი კერიდან მთელ თავის ტვინზე. ეს არის საკითხი ეპილეფსიური აქტიურობის გენერალიზაციის შესახებ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეპილეფსიური გულყრის გაგებისათვის; იყო მსჯელობა იმის შესახებაც, თუ რა მნიშვნელობა აქვს თავის ტვინის სხვადასხვა ფუნქციის მდგომარეობას (ძილისა და სიფხიზლის დროს) ეპილეფსიურ გამოვლენაში.

თითოეული მოხსენება და მასში აღძრული საკითხები მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო. სიმპოზიუმმა მიზნად დაგვარწმუნა, რომ ნეიროფიზიოლოგიური მეთოდები ალიან დრმად შეაღწია კლინიკურ პრაქტიკაში. ისინი გვეხმარება მრავალი პრაქტიკული საკითხის გადაჭრაში.

„კომუნისტის" კორესპონდენტმა სიმპოზიუმზე მიღებულ შთაბეჭდილებათა გაზიარების მიზნით რამდენიმე კითხვით მიმართა სიმპოზიუმის უცხოელ სტუმრებს — დოქტორ ა. უარდს (აშშ, სიეტლი) და ეარშა